28-ე

***

-იყვნენ!

-როდის?

-დღეს. სამშაბათს ხარ დაბარებული.

-რომელზე?

-სამზე.

-ეს არის ქვეყანა? რატომ უნდა ვაკეთო ის, რაც არ მინდა?

-თუ არ გინდოდა, ჩაგებარებინა მაშინ მაგისტრატურაში.

-ხო ვცადე, მარა...

-ძალიან მაგრად სცადე. ფილოსოფიური წიგნები არ გაგიგდია ხელიდან. წესიერად მომზადებულიყავი და ჩააბარებდი.

-კაი, კაი. არ დაიწყო ისევ!

-კაცს დაემსგავსე, ჩაიხედე სარკეში!

-ჩავიხედო? რა გინდა _ დავიჩოქო და ვთქვა, რო არარაობა ვარ, რო ლაჩარი და არაკაცი ვარ?

-ის დღე დაიწყევლა, შენ რო ფილოსოფიურზე ჩააბარე!

-ძაანაც კაი ვქენი. კიდე კაი, მანდ ჩავაბარე, თორემ ვიქნებოდი შენსავით ბანალური აზროვნების, სხვების მიმბაძველი. ჰე, მიდი დაიწყე რო _ ლუკა ნაღდი ვაჟკაცია; რო ცოტნე უკვე სამინისტროში მუშაობს.

-იცოდე, მშობელს როგორ ელაპარაკო!

-რა, მშობელს არ შეიძლება ის ვუთხრა, რასაც ვფიქრობ? არ მინდა, გაიგე... არ მინდა იქ წასვლა...

-ვის გამოემსგავსე ასეთი? ამ ფილოსოფიამ სულ მთლად დედლად გაქცია.

-ნუ აიგივებ ჯარში წასვლას და ვაჟკაცობას. ჩემი იდეოლოგია არის პაციფიზმი. თუ არ გასწავლეს საბჭოთა დროს, გიხსნი: არსებობს სამი შეხედულება ომის შესახებ _ აქტივიზმი, სელექტივიზმი და პაციფიზმი. აქტივისტები ემხრობიან ომს, სელექტივისტები მხოლოდ _ თავდაცვით ომს. პაციფისტები ყველანაირ ომს უარყოფენ. რატომ არ შემიძლია...

-კარგი რა შვილო. კიდე კაი, დიდგორის ომის დროს არ იყვნენ პაციფისტები.

-დედა, რით ვერ გაიგე. მე მაქვს ჩემი აზრი.

-ღმერთო, რატო არ მოვკვდები? ბაბუაშენი პოლკოვნიკი მაინც არ ყოფილიყო!

-რა მნიშვნელობა აქვს ბაბუაჩემი ვინ იყო. მე ვარ პაციფისტი _ ამას ხმამაღლა ვამბობ!

-ეგ სამშაბათსაც გაიმეორე, სამ საათზე.

-გავიმეორებ – ხმაში ხრინწი შეეპარა გიორგის და გაეცალა გაჯავრებულ მშობელს.

გიორგი ხვდებოდა, რომ მის იდეოლოგიას რეალური საფრთხე ელოდა. დიდი შანსი იყო მისი ზეციური იდეალები მიწაზე დანარცხებულიყო. ფიქრობდა, როგორ აერიდებინა ჯარისთვის თავი. მისი პაციფისტური გული ვერ აიტანდა იმ უხეშობას, სიტლანქეს, რაც ჯარში მოელოდა. წარმოიდგენდა, როგორ იწვრთნებიან, როგორ ერთფეროვნად შესძახიან

ფილოსოფოსის გულისთვის მიუღებელ სიმღერებს და ეს ყველაფერი რისთვის – იმისთვის, რომ სხვას ტკივილი მიაყენოს, სხვა მოკლას. სხვისი მოკლა ხომ ყველაზე ცუდი რამ არის. კანტმა ხომ ასწავლა, რომ არ უნდა გაუკეთო სხვას ის, რაც არ გინდა რომ თავად გაგიკეთონ; ხომ ასწავლა ეს დიდებული სენტენცია ამ ერთ, კონკრეტულ არსებას, რომელსაც რატომღაც, გიორგი დაარქვეს მშობლებმა და არა ვთქვათ, ჰასანი, ალფაი ან მეჰდი.

გიორგი ბავშვობიდანვე გულჩათხრობილი იყო. მთელი ცხოვრება გრძნობდა უცნაურ, რთულადგადმოსაცემ გახლეჩილობას, მარტოობას. თითქოს ორგანული მთელი კი არ იყო, არამედ რაღაც ნახლეჩი, რაღაცას მოწყვეტილი, მონახევი. ეს უცნაური გრძნობა ტანჯავდა, არ იცოდა სად წასულიყო, ვისთვის ეკითხა რჩევა. გულჩათხრობილ ადამიანებს ხომ, როგორც წესი, "დაიკიდე, იგულავეს" მსგავს რამეებს ურჩევენ ხოლმე.

ადამიანებში რომ ვერ ჰპოვა შვება, ფილოსოფიური წიგნების კითხვა დაიწყო. ოდნავ შვებას გრძნობდა ხოლმე, თუმცა წიგნები მისთვის კიბოთი დაავადებულისთვის გაკეთებული ინექციასავით იყო, რომელიც ფიზიკურ ტკივილს კი აყუჩებს, მაგარამ მომავლის შიშსა და გაურკვევლობას ვერაფერს შველის. "რა მელის მომავალში? რაში ვვარგივარ?" აი, ასეთი კითხვები აწუხებდა მუდამ. მუდამ თავისი განსხვავებულობით დათრგუნულს, სურდა სხვებივით მოელხინა, სხვებივით "დაეკიდა", მაგრამ ეს უსრულობის, უმთელობის განცდა არ უშვებდა, არ ანებებდა! ნახევარადამიანი იყო თითქოს. თუ მატლის ნახევარი ნაწილი ისევ მატლია, აი ადამიანის ნახევარი კი, ბუნების ძალით აღარაა ადამიანი. სწორედ ეს არაადამიანურობის, უფრო სწორად კი, დაუსრულებლობის, უსრულობის, არასრულყოფილების განცდა სტანჯავდა გამუდმებით. გრძნობდა, რომ რაღაც აკლდა; ათასგვარ თეორიას მიუყენებდა საკუთარ თავს. ჩართავდა "ანალიტიკურ რეცეპტორებს" _ ხან ასაკს დააბრალებდა, ხან ქვეყნის მდგომარეობას. მაგრამ ბიოლოგია და ეკონომიკა არაფერ შუაში იყო...

ჯარში წასვლა იმიტომ არ უნდოდა, რომ ვერ იტანდა ვერაფერს, რაც ხალხმრავლობას და სისასტიკეს უკავშირდებოდა. ფიქრობდა, როგორ აერიდებინა სამხედრო სამსახურისთვის თავი. ისიც იფიქრა, მეზობელი ვასოსთვის მიებაძა და სადმე ხელის მიდამოებში ცივი იარაღი ჩამოესვა, ან მეორე მეზობელი თოკასავით თავისი სიგიჟის ისტორიები შეეთხზა. მაგრამ სიამაყე არ აძლევდა ტყუილის თქმის უფლებას და როგორც ბევრმა, გადაწყვიტა მაგისტრატურაში ჩაებარებინა, მაგრამ გამოცდებისთვის მომზადების მაგივრად ისევ ფილოსოფიურ წიგნებს ჩაუჯდა და შედეგიც მიიღო: სამშაბათს კომისარიატშია დაბარებული... გასასინჯად. უნდა მოეფიქრებინა, რით შეიძლებოდა ჯარიდან თავის დაძვრენა, ერთი რამ კი ზუსტად იცოდა _ ტყუილს არ იტყოდა. უნდა მოეფიქრებინა როგორ დაერწმუნებინა კომისარიატის მუშაკები, რომელთაც სავარაუდოდ, პაციფისტური იდეებით ვერ მოხიბლავდა...

***

მაგიდაზე გაუხსნელი არაჟნის ქილა იდო; ქილაზე – კოვზი, ქილის გვერდზე კი დაკუჭული ცელოფნის პარკი. ლურჯი პარკის წინ ბრელოკიანი გასაღები ეგდო. გასაღების გვერდზე საქაღალდეების დასტა ელაგა. დასტა კომპიუტერის კლავიატურაზე ეწყო. კომპიუტერის ძველი, "ბუთხუზა" მონიტორი ისე იყო დამტვერილი, რომ ბატონი მალხაზის სახეს ნაწილობრივ თუ

ირეკლავდა. ბატონი მალხაზისას, რომელიც მსხვილი თითებით და მკაცრი გამომეტყველებით იქექებოდა საქაღალდეში.

როგორც იყო, მიაგნო, რასაც ეძებდა. წინ მსხდომს გამომცდელი მზერა მიაპყრო და დაიწყო.

-გვარი?
-დავითაძე.
-სახელი?
-გიორგი.
-პირველ მოწვევაზე რატო არ გამოცხადდი? მაინცდამაინც ინსპექტორები უნდა მოსულიყვნენ!?
-არ მომსვლია წერილობითი მოწვევა.
-ტაკ, ეს იგი, ფილოსოფიური დაამთავრე.
-კი, როგორც ხედავთ.
-ჯანმრთელი ხარ?
-ზოგადად კი, მაგრამ კისერზე ხალი მაწუხებს ხოლმე.
-არაუშავს, ჯარში მოგირჩება.
-ისე, მაგრად მაწუხებს ხოლმე.
-კაი, მარცხნივ გახვალ დერეფანში ექიმთან.

გავიდა. ხალი მართლა აწუხებდა. მომენტებში საშინლად წამოტკივდებოდა ხოლმე და რაც მთავარია, ეს ხალის ტკივილი თავის მტანჯველ ფიქრებს უღვივებდა, თითქოს ეს ხალის ტკივილი რაღაც არაამქვეყნიური ნიშანი იყო.

ექიმმა გასინჯა. მისი ხალის ტკივილი ვიტამინების უმნიშვნელო ნაკლებობას დააბრალა და დაპირდა, ჯარში კვების ისეთი რაციონია, მაგ ნაკლებობას აუცილებლად შეგივსებსო. გიორგი ერთი-ორჯერ შეეკამათა, მაგრამ ექიმი ჯიუტი და მრავალდეზერტირმნახველი იყო. შესაბამისად, უყოყმანოდ ამოიღო ბეჭედი და ხელის მარტივი მოძრაობით გიორგის ვარგისიანობა და მისი იდეოლოგიის უვარგისობა ერთდროულად დაამოწმა.

***

-გეშინია?
-რისი, ომის?
-ხო ომის; აბა შემწვარი წიწილის არც 28-ეს ეშინია.
-არაა ეგ ცუდი ტიპი. "პროსტა", ჯიუტია რა... გახსოვს, სამი თვის წინ რო ეჩხუბა ლეიტენანტს?
-გიჟია რა! ეგეთები ჯარში არ უნდა მოყავდეთ.
-ვერ გაიგებ, თან ეშინია, თან არა! თითქოს ეშინია, მაგრამ ლეიტენანტს ვერ ეჩხუბებოდა მშიშარა რომ იყოს.
-გიჟის მეტი ვინ დაუწყებდა ლეიტენანტ ნოზაძეს ლაპარაკს პაციფიზმზე და სელექტივიზმზე?

-იმიტომაც გაატარა ერთი კვირა Haupt Wacht-ში!

-ჰო, აბა...

-გახსოვს, თავიდან რა მაგრად ახურებდა, მარა ნელ-ნელა შეეჩვია. მოითმენს სამი თვეც და გააგრძელებს თავის პაციფისტურ ცხოვრებას.

-მაგის ნაღდი სახელი რა არის?

-გიორგი?

-28-ე რატო დაარქვით?

-არ იცი?

-არა, ტო. რო მცოდნოდა, შენ კი არ გკითხავდი!

-ეგ ხო ფილოსოფიურზე სწავლობდა და ყველაფერს აკვირდებოდა. აკვირდებოდა, რო მწყობრში სულ ოცდამერვე იდგა. მერე ამას რაღაცეებს უკავშირებდა. ხო იცი, ფილოსოფოსები როგორი "ნასტირნი" როჟები არიან?

-ნაღდად 28-ე იყო ხოლმე მწყობრში?

-რაკი ეგრე იძახდა თვითონ, შეიძლება ერთი-ორჯერ იყო და მერე ძალით დგებოდა 28-ედ. ასე თუ ისე სახელი კი შერჩა.

-რა ხმაა?

-მობილიზაცია იწყება მგონი.

მართალია. მობილიზაცია დაწყებულიყო. ქართული სოფლების დაბომბვა დაიწყეს. ლეიტენანტ ნოზაძეს ქალაქ ნაქართლურში დაევალა შესვლა.

***

ტყვიების ზუზუნი. ტანკების გრუხუნი. ნაქართლურში სიკვდილის სუნი ტრიალებდა. ქართული ჯარის ნაწილები მეტოქის პოზიციის სიღრმეებში იბრძოდნენ, ხოლო ნოზაძის რაზმს, სხვებთან ერთად ნაქართლურის "მტრის ნარჩენებისგან" გაწმენდა ევალებოდა.

-დავაი! დავაი! გადადი! 28-ე მიდი! _ ანაწილებდა ჯარისკაცებს ლეიტენანტი _ დავაი, ბახტაძე და 28-ე შევდივართ შენობაში. ზედა სართულზე ორი ოსია. 28-ე, ახლა ვნახავთ რა კაცი ხარ.

28-ეს არავინ მოეკლა ომში. ყოველ შემთხვევაში თავად ასე ეგონა. ხალი საშინლად ტკიოდა; როცა არ ისროდა, მაშინ კისერზეხელმოკიდებული ბღაოდა.

სახლში შევიდნენ. ატყდა სროლა! ლეიტენანტი, ბახტაძე და ერთი ოსი მოკვდნენ. 28-ეს ერთი ტყვია ჰქონდა დარჩენილი. ახლა ან მის სიცოცხლეს დაესმებოდა წერტილი ან მის სამხედრო უმანკოებას.

გიორგი შევარდა ოთახში, მაგრამ ვერაფერი დაინახა. უცბად გაშეშდა, რაღაც ღვთაებრივი სიმსუბუქე იგრძნო. ძირს დავარდნილ დაჭრილ მეტოქეს ხელიდან სისხლი სდიოდა, მაგრამ რატომღაც კისერზე მოეკიდებინა ხელი და არაადამიანურად ბღაოდა.

დაჭრილმა ამოხედა გიორგის, კისრიდან მოიშორა ხელი და დაწყნარდა. გიორგის ხალის ტკივილიც სადღაც გაქრა. ოღონდ ეს წინანდელ გაქრობებს არ გავდა, ეს თითქოს საბოლოო, ერთიანი მოგვარება იყო პრობლემისა, რაც მას აწუხებდა. გიორგი უყურებდა დაჭრილს: ზუსტად იგივე თვალები, ცხვირი, ყურები... და ხალი კისერზე.

გარეთ ტყვიების ზუზუნი არ ჩუმდებოდა. მაგრამ გიორგი და დაჭრილი ახლა ამაზე ვერ ფიქრობდნენ. თითქოს წამით გამოერთვნენ ომიდან. იმიტომ რომ იგრძნეს ის, რაც აქამდე არ ეგრძნოთ. ახლა, აქ, ამ ერთი შეხედვით შეუფერებელ ადგილას იგრძნეს, რომ ერთი მთელის მოწყვეტილი ორი ნაწილი კვლავ უერთდებოდა ერთმანეთს.

გარედან ორი ქართველი სერჟანტის ხმა მოისმა. "ავიდეთ, ზევით არიან!"

გიორგიმ რუსულად უთხრა:

-მალე ქართველები მოვლენ! უნდა დაიმალო!
-აქ ვერსად დავიმალები. მომკალი და თავს გადაირჩენ.
-არა, მაგას არ ვიზამ. ხელზე "XXVIII" რატომ გაქვს ამოსვირიგნებული? – კითხა გიორგიმ.
-ჯარში ოცდამერვე ვიყავი მწყობრში...

გიორგის მწარედ გაეღიმა.

ამასომაში ორი ქართველი სერჟანტი უკვე სახლში შემოსულიყო და კიბეებზე ამორბოდა.

გიორგიმ დაჭრილი წამოაყენა, მუცელზე ხელი მოხვია, სხეულზე მიიბჯინა და ხმამაღლა დაიყვირა:

_ ჩვენ ოცდამერვეები ვართ! ჩვენ ადამიანები ვართ! გაუმარჯოს მშვიდობას!

ორმა ქართველმა სერჟანტმა გასროლის ხმა გაიგო.

გიორგის და დაჭრილს ხალი აღარასოდეს ატკიებიათ.